თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2026 წლის 4 თებერვალი

ქ. თერჯოლა

„წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლი მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ჯილდო – ერთჯერადი ფულადი ჯილდო;

ბ) წარმატებული სპორტსმენი – საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიურ (პარალიმპიურ) თამაშებში თერჯოლის ან საქართველოს სახელით მოასპარეზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 14-დან 35 წლის ჩათვლით ან/და საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე ა(ა) იპ – თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით 14-25 წლამდე (თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის მანძილზე რეგისტრირებული) ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი;

გ) წარმატებული მწვრთნელი – ა(ა)იპ – თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების მქონე თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სპეციალისტი (თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის მანძილზე რეგისტრირებული);

დ) წარმატებული ახალგაზრდა – თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 16-დან 26 წლამდე ახალგაზრდა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სასწავლო-საგანმანათლებლო საერთაშორისო ოლიმპიადაში, საქართველოს ან საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კულტურულ-შემოქმედებით, ინტელექტუალურ კონკურსში, რომელსაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებში დაძლეული აქვს დაწყებითი საფეხური და მოიპოვა აღნიშნული კონკურსის/ოლიმპიადის დებულებით განსაზღვრული მთავარი პრიზი ან ტიტული;

ე) ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი – თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო ან კერძო სკოლის მიმდინარე წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი;

ვ) ახალგაზრდული ინიციატივა – ახალგაზრდების პროექტი, რომლის ინიციატორიც არის თერჯოლის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ან ახალგაზრდების ჯგუფი და ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საქმიანობის მიზნებს (საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი –საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის №553 განკარგულებით დამტკიცებული დოკუმენტი);

ზ) სახელმწიფო გრანტის მფლობელი სტუდენტი – თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, რომელმაც საბიუჯეტო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით მიიღო სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

2. დადგენილების დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 3. წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის დაჯილდოება

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგ სახით:

ა) საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურნირის I ადგილი – 400 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი;

ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 2 200 ლარი, II ადგილი – 1500, III ადგილი – 1000 ლარი;

გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 5000 ლარი, II ადგილი – 4000, III ადგილი – 3000 ლარი;

დ) ოლიმპიური (პარაოლიმპიური) თამაშების I ადგილი – 10 000 ლარი, II ადგილი – 9000, III ადგილი – 8000 ლარი.

2. წარმატებული მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) უმაღლესი სპორტული მიღწევებისთვის (ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიურ ჩემპიონატზე I, II, III საპრიზო ადგილი) **– 3000 ლარი;**

ბ) **სპორტული მიღწევებისთვის** (საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე I, II, III საპრიზო ადგილი) – 2000 ლარი.

3. წარმატებული სპორტსმენების/მწვრთნელების ჯილდოზე წარდგენა:

სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევებისთვის სპორტსმენებს და მწვრთნელებს ჯილდოზე წელიწადში ერთჯერადად თერჯოლის მუნიცილაპიტეტის მერს წარუდგენს ა(ა)იპ – თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **სოსო ჩაფიჩაძე**